# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 27 დეკემბერი 1997 №169 (534) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 25 დეკემბრის არასაშობაო აჟიოტაჟი დიდუბეში

## ანუ რა მოხდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გუშინწინდელ სხდომაზე

1. ვლადიმერ გუცაევი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა;

2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მორიგი, მეოთხე ყრილობა 1998 წლის 24 ივლისს გაიმართება;

3. თბილისის „დინამოს“ მთავრი მწვრთნელის დავით ყიფიანის მიერ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის კლუბს ხუთი ქულა გამოაკლდა.



ვლადიმერ გუცაევი ეს-ესაა დანიშნეს საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად

ისეთი ტყუილი ჯერ არავის უთქვამს, ნახევრად მართალი რომ არ იყოს. აღმასკომამდე ქალაქში ჭორად მოარულ მრავალ ვერსიას გაიგონებდით. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ეს გახლდათ — აღმასკომის სხდომა მთლიანად ფარსი იქნება და ფედერაციას უკვე ყველაფერი გათვლილ-გადაწყვეტილი აქვსო. მართლაც აღმასკომი წინასწარ შეთხზული სცენარით დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციასთან შეკრებილთა უმეტესობას ასე მოეჩვენა. აშკარად არა, მაგრამ ჩუმ-ჩუმად მრავალმა გაგვანდო თავისი ვარაუდი, რომლებიც ბოლოს სინამდვილეს დაემთხვა. გასაოცარი ის იყო, რომ მავანნი გვიმტკიცებდნენ, ჩვენს ნათქვამს წყალი არ გაუვა, ყველაფერი უკვე კარგა ხანია, გადაწყდაო.

**EXCLUSIVE**

*საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის ექსკლუზიური ინტერვიუ იხილეთ მე-3 გვერდზე*

ალმასკომზე ნოდარ ახალკაცის მოსვლას ელოდნენ. პრეზიდენტის გარეშე ასეთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ადრე როდის ჩატარებულა, მაგრამ ფედერაციის თავკაცი არც გუშინ გამოჩენილა თავის სამუშაო კაბინეტში. ექიმებს მისთვის დატვირთვა და მღელვარება აუკრძალავთ.

ფეხბურთის მამებმა თავყრილობა დათქმულ დროს დაიწყეს. გასულ წელთან შედარებით ფედერაციასთან შეკრებილ ჟურნალისტებს გუშინწინ უკეთესი სამუშაო პირობები შეგვექმნა. ფედერაციის თანამშრომლებს წელს შესასვლელი კარები არ ჩაურაზავთ, ის კი არა, შენობაში შესვლისა და მეორე სართულის დერეფანში დგომის უფლებაც მოგვცეს. იქაურთა მოწყალება აღმასკომზე მოსულმა დავით ყიფიანმაც შენიშნა, დერეფანში თავმოყრილთ მოგვესალმა და სიტყვაც შეგვაწია — წელს პროგრესისთვის მიგიღწევიათო.

ალმასკომი დაიწყო თუ არა, მთავარ კაბინეტში ვიდეოოპერატორები და ფოტოკორესპონდენტები შეუშვეს, სამუშაო სიტუაცია დააფიქსირებინეს და ბოდიშის მოხდით ისევ გარეთ გამოისტუმრეს. ამის შემდეგ ჯადოსნური კარები ჩაიკეტა და ალმასკომზე საქმეთლეულთაგან თუ შევიტყობდით რამეს.

პირველად საშეჯიბრო განყოფილების ანგარიში განიხილეს. ამათ თავისი თქვეს და განაჩენის მოლოდინში ჩვენ შემოგვეერთდნენ. მალე ისინი უკან იხმეს და მათი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. არც ტაში მოაკლეს და კვლავ ისე გააგრძელეთო, უსურვეს.

იხილეთ მეორე გვერდი



გიორგი კანდელაკი მსოფლიოს ჩემპიონის მედლითა და ქამრით

# გიორგი კანდელაკი
## 1997 წლის
## საუკეთესო სპორტსმენია

პრესის, ტელევიზიის, რადიოს, საინფორმაციო სააგენტოების 37 ჟურნალისტი მონაწილეობდა ტრადიციულ საახალწლო რეფერენდუმში, რომელიც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ საქართველოს 1997 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენისა და 3 საუკეთესო გუნდის გამოსავლენად მოაწყო.

გამოკითხულთა ანკეტებში სულ დასახელებული იყო 29 სპორტსმენი და 9 გუნდი. ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ჩვენი ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში მოკრივეთა შორის, გორელი გიორგი კანდელაკი. მას პირველი ადგილი მიაკუთვნა 36-მა ჟურნალისტმა.

### უძლიერეს სპორტსმენთა ათეული

| | |
|---|---|
| 1. გიორგი კანდელაკი (კრივი) | 369 |
| 2. ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) | 282 |
| 3. გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო) | 240 |
| 4. გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო) | 161 |
| 5. შოთა არველაძე (ფეხბურთი) | 152 |
| 6. დავით ბოღოსიანი (თავისუფალი ჭიდაობა) | 148 |
| 7. თემურ ქეცბაია (ფეხბურთი) | 141 |
| 8. კობა გოგოლაძე (კრივი) | 94 |
| 9. არჩილ ჩოხელი (სამბო) | 89 |
| 10. ერეკლე გურჩიანი (მკლავჭიდი) | 62 |

ანკეტებში დასახელებულთა შორის არიან: გიორგი ჯინჭველაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 58, რუსუდან გოლეთიანი (ჭადრაკი) — 55, ვახტანგ ნაცვლიშვილი (კალათბურთი) — 51, რუსუდან ხოფერია (ბატუტი) — 47, ანა დოღონაძე (ბატუტი) — 45, აკაკი ჩაჩუა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 44, ვეფხია სამხარაძე (მკლავჭიდი) — 33, შოთა ბეჟაშვილი (ძალისმიერი სამჭიდი) — 22, მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი) — 18, იოსებ ახალბედაშვილი (სამბო) — 16, თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) — 14, ჯონდო მუზაშვილი (სამბო) — 12, გიორგი წმინდაშვილი (ძიუდო) — 11, ზურაბ აზმაიფარაშვილი (ჭადრაკი) — 9, გიორგი ნემსაძე (ფეხბურთი) — 6, ლევან კობიაშვილი (ფეხბურთი) — 5, გენადი გურალია (წყალთხილამურები) — 3, ვლადიმერ სტეფანია (კალათბურთი) — 2, ნიკა ტოგონიძე (ფეხბურთი) — 1.

### საუკეთესო გუნდების სამეული

| | |
|---|---|
| 1. სამბისტთა ნაკრები | 41 |
| 2. მოჭადრაკე ქალთა ნაკრები | 29 |
| 3. ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები | 24 |

ანკეტებში დაასახელეს აგრეთვე 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები, მოკრივეთა ნაკრები, მორაგბეთა ნაკრები, ძიუდოისტთა ნაკრები, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები, ბათუმის „დინამო“.

მომდევნო, საახალწლო „სარბიელს“ სამშაბათს, 30 დეკემბერს მიიღებთ. საშობაო-საახალწლო არდადეგების მერე 1998 წლის №1 „სარბიელი“ შაბათს, 10 იანვარს გამოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალისო ბუნდესლიგა


რიხარდ გოლცი

*ევროპაში თუ ვინმე ფასდება, ხუთი მოწინავე ქვეყანა. იტალიის, გერმანიის, ინგლისის, ესპანეთისა და საფრანგეთის ჩემპიონატები მოწინავეა. ამათი ლიდერი, ცხადია, სერია A-ა. დანარჩენების თანმიმდევრობა კი ძნელი დასადგენია, რადგან სადავოა. და მაინც, ოთხეულს აშკარა აუტსაიდერი — საფრანგეთი ჰყავს. ბუნდესლიგა კი მეორეხარისხოვან ლიდერთა სამეულშია. იქნებ, მიტომაც, რომ იგი ყველაზე მეტად ევროპული ჩემპიონატია, მიუხედავად იმისა, რომ 147 ლეგიონერი ჰყავს და ეს მთელის მხოლოდ 30 პროცენტია.*


თომას ჰესლერი

## ლეგიონერები

ვისა ჰყავს ბუნდესლიგაში გერმანიის შემდეგ ყველაზე მეტი წარმომადგენელი? რა თქმა უნდა, ხორვატიას. ამ ქვეყნის 14 ლეგიონერი 12 გერმანულ კლუბშია გაბნეული. ხორვატული დუეტი მხოლოდ „ლევერკუზენსა“ და „ვოლფსბურგშია“. ხორვატია იქით იყოს და ლეგიონერთა მესამედზე მეტი გერმანიის მეზობელი სახელმწიფოებიდანაა. მეზობლებში კი ჰოლანდიას უმარჯვია, 11 მოთამაშე რომ მიუვლენია ბუნდესლიგაში. ყველაზე ცოტა, ერთი წარმომადგენელი კი ლუქსემბურგს ეკუთვნის და ეს გასაგებიცაა.
საერთოდ გერმანიის ჩემპიონატში 114 ევროპელია, 14 სამხერთამერიკელი, სამ-სამიც ჩრდილოამერიკელი და ავსტრალიელი, 13 კი აფრიკელი. 49 მოთამაშე აღმოსავლეთ ევროპელია, აქედან 8 ყოფილი საბჭოელი — 6 რუსი და 2 უკრაინელი.

## ნელინადის დრონი

რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ბუნდესლიგელები ყველაზე ხშირად შემოდგომაზე იბადებოდნენ. არავინ იცის, ჩაფიქრებული ჰქონდათ თუ არა მათ მშობლებს მომავალ პირმშოთა ფეხბურთელებად გაზრდა, მაგრამ ასე კი მოხდა. უფრო ნაკლებად დაბადებულან ზამთარში და გაზაფხულზე, ყველაზე მკვდარი სეზონი კი ზაფხულია.

## ჯუჯა და გოლიათი

ბუნდესლიგა უფრო ათლეტთა პირველობაა და თავიანთი ლიდერი ამათაც ჰყავთ. გოლიათი ჰამბურგელი მეკარე რიხარდ გოლცია, რომელსაც ორ მეტრამდე სანტიმეტრიღა დააკლდა. „ჰამბურგსვე“ ჰყავს მეორე გოლიათი კარსტენ ბარონი, რომელიც გოლცზე ორი სანტიმეტრით დაბალია. ჩია კაცებზეც ვთქვათ. ყველაზე პატარა თომას ჰესლერია — მხოლოდ 1,67 მეტრი. ამხელავეა ბოხუმის ტრინიდადელი ილიდირეი ბასტურკი. ყველაზე დაბალ ბუნდესლიგელთა ოთხეულშია ჰესლერზე სანტიმეტრით მაღალი დარიუს ვოში, რომელიც ასევე ბოხუმელია და გერმანიის ნაკრების წევრიცაა. თავის მხრივ, ვოში გერმანიის ჩემპიონატის უმსუბუქესი მოთამაშეცაა. უმძიმესი კი 96 კილოგრამიანი კარლსრუელი კლაუს რეიტმაიერია.


დარიუშ ვოში

## თვითმფრინავში ჰანზა სახიფათოა

ბუნდესლიგის ყველაზე მსუბუქი გუნდი „კარსლრუეა“, უმძიმესი კი „ჰანზა“. და ეს იმის მიუხედავადაც, რომ უმძიმესი გერმანელი რეიტმაიერი კარლსრუელია. ჰი „ჰანზას“ თანამგზავრებს კი იქნებ კიდეც უნდა ეშინოდეთ. ამ გუნდის ოდენ ფეხბურთელთა საერთო წონა 1540 კილოგრამია. ყველაზე დაბალი გუნდი სწორედ ვოშის და ბასტურკის „ბოხუმია“, მაღალი კი, რა გასაკვირია, ბარონისა და გოლცის „ჰამბურგი“ იყოს.

## გადარჩენილი ციკლერი

წელიწადის 336 დღიდან 113 დღეს არავინ დაბადებულა. დანარჩენ დღეებში წყვილად 40 კაცი მოვლენია ამ ქვეყანას, ტრიოდ კი 6. აქედან ტყუპები მხოლოდ ანდრეას და მიხაელ ზეიერები და ოლივერ და ანდრეას შმიდტები არიან. თუმცა, ერთ გუნდში — „ჰერტაში“ მხოლოდ შმიდტები თამაშობენ. ყველაზე ცნობილი დუეტი მიოლერისა და რიცტელისაა. გარდა იმისა, რომ ანდრეასი და რუჯერო 2 ოქტომბერს მოევლინენ ქვეყანას, ტოლებიც არიან. ახალ წელს გაორმაგებული სიხარულით ხვდებიან ჰასან სალიჰამიჯიჩი, სერგეი კირიაკოვი და ნორბერტ ჰოფმანი, კათოლიკურ შობას კი რეიკ შროდერი და ხორვატი მენიკ ჰასი. უქმე დღეებში მოხვდა ნაკიანი წლის 29 თებერვალიც. არადა, ალექსანდრ ციკლერი ორი წლით ადრე თომას ფოგელი კი ერთით გვიან რომ ჩასახულიყო, იქნებ დაბადების დღე ოთხ წელიწადში ერთხელაც აღენიშნათ.


ალექსანდრ ციკლერი

